

„დროების“ რედაქცია—სასანლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაჯოვის სახლში.

წელიწადში მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;  
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дროба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—  
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—  
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4  
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ტელეგრაფით „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

ბამონის ყოველ-ღვინა ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრულად ვეფხვეთელ ტექსტ-  
ში 25 მანათი; პირველი 50 მანათი; ყოველი სტრიქონ-  
ისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-  
ლობაზედ.  
თუ საქართვებამთიანთა რედაქცია გაასწორებს  
და შეამოწმებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს  
დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს  
ავტორს.

„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за  
границы принимаются только въ цент., конторѣ  
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების  
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როს-  
ტომაშვილთან; ბორჯომში — აბაღო თეთაშვილთან.

წლით ხელის-მოწერანი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ. თბილ-  
ისის პირველი წლის დასაწყისამდე გაზეთის ფასი 8 მან. და 50 კაპ.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით  
ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირობებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადე  
ბუღნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ქერნადს

## „ივერიაზედ“

ზინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ქუთაისს „ივერიას“, უნდა  
ვაიმოგზავნოს წლის ხვედრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთა-  
თვის ხუთი მანათი) „დროების“ რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ,  
въ Редакцію «Дროба».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან „დროება“ და „ივერია“ ერთის  
წერილით დაიბაროს და ამისთვის ხვედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს  
„დროებისვე“ ადრესით.

რედაქტორი ივერიისა ილია ჭავჭავაძე.

### საქუარაღმადო. განკარგულება

თბილისი, თებერვლის 5-ს

ზახეთებში ყრულ იყო ნათქვამი,  
რომ ჩვენი სახელმწიფო ქონებათა  
გამგეობა რამდენსამე პირს ჰგზავნის  
სოფლად უნობების შესაქრფად სა-  
ხელმწიფო გლეხ-კაცების ყოფა-ცხოვ-  
რებაზედა. ამ ცნობამ, როგორც  
ყრულ იყო მოხსენებული, ისე ყრულ-  
ვე ჩაიარა და ჩვენმა ქუთაის-გაზე-  
თობამ არ მოაქცია ესეთს განკარგუ-  
ლებას ის ყურადღება, რა ყურადღე-  
ბის ღირსიც იყო იგი; და რომ სა-  
ხელმწიფო ქონებათა გამგეობის გან-  
კარგულება ფრიად შესანიშნავია, ამას  
უველა აღვიღად დაინახავს, ვინც კი  
თავის თავს შრომას მისცემს და ჩაუ-  
კვირდება მის საგანს.

რა უნდა გააკეთონ იმ ოციოდე  
ყმაწვილმა კაცმა, რომელნიც აპრი-  
ლის პირველიდამ გაიბნვიან მთელს  
ქვეყანაში სახელმწიფო გლეხ-კაცების  
ყოფა-ცხოვრებისა და მათის საქირო-  
ების გასაცნობად? მათ უნდა შეაგრო-  
ვონ ყოველგვარი მასალა ამ საგნი-  
სათვის საქირო. თითოეულმა მათგან-  
მა უნდა ამოიჩიოს რომელიმე კუთ-  
ხე ჩვენის ქვეყნისა, სოფლით-სოფ-  
ლად დაიაროს იგი, ყოველ სოფელ-  
ში რამდენიმე ხანი გაათოს და დაწერი-  
ლებით შეიტყოს: როგორი მიწის  
მფლობელობის წესია ამ სოფელში?  
რას აძლევს გლეხ-კაცი ღალას ან კუ-  
ლუხს მებატონეს, თუ სხვა მემამულეს?  
რამდენს ხარჯს იძლევა? რამდენი კო-  
ლი პური, ქერი, სიმინდი და სხვა მო-

სავალი მოსდის? რამდენი საქონელი  
ჰყავს? რა და რა სამუშაო და ოჯახის  
ავეჯი აქვს? როგორი დამოკიდებუ-  
ლებაა ოჯახის სხვა-და-სხვა წევრთა  
შორის? მართი სიტყვით, რომ ჩამო-  
თვალთ ყოველი კითხვა, რომელზე-  
დაც უნდა პასუხი მიუგონ ამ წინა-  
მორბედებმა ჩვენის ხალხს ცხოვრე-  
ბის გაცნობისამ, იქნება ჩვენი დღე-  
ვანდელი ნომერი სულ კითხვებით  
აივოს და მაინც კიდევ ნახევარი ჩა-  
მოუთვლელი დაგვრჩეს.

თუმცა ეს ყოველისფერი შეეხება  
სახელმწიფო გლეხ-კაცობას, მაგრამ  
ეს გლეხ-კაცობა ისეა არეული საბა-  
ტონო და საეკლესიოსთან, რომ ნე-  
ბა-უნებურად ერთის გაცნობით მეო-  
რეებსაც გავცნობთ და ამით მოვი-  
პოვებთ ძვირფასს ცოდნას, რომელიც  
ყოველთვის, ყოველ ახალს წესის შე-  
მოღების დროს, სახელმძღვანელოდ  
გვექნება და რომელიც შრომას შემც-  
დარსა და შემაფერხებელს ნაბიჯს ა-  
გვაცდენს.

ამ დღებში დაწერილებით, მაგა-  
ლითების ჩვენებით, აუფხნით ჩვენს  
მკითხველებს, თუ რა დიდი სარგებ-  
ლობა შეუძლიან მოუტანოს ჩვენს  
ქვეყანას სახელ. ქონებ. გამგეობის  
შესანიშნავმა განკარგულებამ, თუ იმ  
პირთ, რომელნიც მას თავის თანა-  
შემწედ აურჩევია, გაამართლეს მათ-  
ზედ დამყარებული იმედები.

### შინაური ძროხისა

— ჩვენ შევიტყუეთ, რომ თბილი-  
სის სამოსამართლო პალატას იუსტი-  
ციის სამინისტროში შეუტანია წინა-  
დადება, რომ სასამართლოს ბოქაუ-  
ლებს დაენიშნათ ჯამაგირი: ქალაქე-  
ბისას 1700 მან. და მაზრებისას 1500  
მან. 600 მან. მაგიერ. მოჩივართ ბო-  
ქაულების სასარგებლოდ ფული აღარ  
გამოერთმევთ.

— ძილვე შევიტყუეთ, რომ თბილისში  
მომრიგებელი სასამართლოების რიცხვი  
უნდა გამრავლდეს, ესე იგი ეხლანდელი  
ხუთი სასამართლოს მაგიერ თორმეტი  
იქნება. თუ მოსამართლეებიც რიგია-  
ნები დაინიშნებიან, მაშინ, იმედია, გა-  
მართლდება განსვენებული იმპერატო-  
რი ალექსანდრე მეორისაგან თქმული  
სიტყვები: „სამართალი მსწრაფლი და  
მართალია“.

— თავსმჯდომარე არქეოლოგიურ  
საზოგადოებისა ბ. ზ. ბაქრაძე ვეთხოვს  
გამოეცხადოთ შემდეგი: „მეორმო-  
ცე დღეს გარდაცვალებისა გრაფის  
ალექსი სერგეის ძის შენოვისა, ამ  
თვის 6-ს რიცხვს, დღით 12 საათ-  
ზედ სემინარიის ეკლესიაში გადახდილ  
იქნება ამისთვის ყოველად სამღვდელს  
ალექსანდრესაგან პანაშვიდი.

„ამაზე ეცნობებათ ქვეყნის არ-  
ქეოლოგიურის საზოგადოებისა და  
რუსულის გეოგრაფიულის საზოგა-  
დოების განყოფილების წევრთა და  
საზოგადოდ ყველა პირთა, ვინც კი  
განსვენებულის სამეცნიერო ღვაწლის  
პატივის მცემელნი არიან.

„იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე,  
თბილისის საზოგადო ბიბლიოთეკაში  
იქნება კრება არქეოლოგიურის საზო-  
გადოების წევრთა.

„მარცხე პირთაც შეუძლიანთ და-  
ესწრნენ ამ კრებაში“.

— შარსიდგან გვწერენ: „მხიან-  
ცის მაღაზიაში შეპარულან საქურ-  
ლად ოთხი კაცი შემდეგის ხერ-  
ხით: ერთი მათგანი, რომელმაც უფ-  
რო დახლოვებით იცოდა მაღაზიის  
გარემოება, დღისით შეპარულა უკანა  
კარებიდგან, (რომელიც თურმე ღია  
ყოფილა) და დიდს ყუთში დამალუ-  
ლა. როცა პატრონი საღამოთი შინ  
წესულა, ამდგარა ჩუმი სტუმარი, გა-  
ულია შიგნიდგან ჩარაზული კარები  
და თავის მეგობრებიც მიუწვევია.  
ამათ შესვლის დროს სანთელი აუწ-  
თიათ. მაღაზიის მცველს დაუნახავს  
სინათლე, შეუშინვია, რომ ოთხი  
სტუმარი უმასპინძლოდ მუსაიფობენ,  
მაშინვე კარები გადურხავს, წასულა  
და პოლიცია მოუყვანია პოლიციამ  
ოთხთავენი დაიჭირა.

— შმაღლესად დამტკიცებულს სამ-  
ხედრო კასაციურს სასამართლო-  
ში გუშინ გარჩეულ იქნა საქმე მუ-  
თაისის გუბერნიის მცხოვრებთა: პეტ-  
რე გაგულასი, გაცხევან სანინასი, ტა-  
და გოგინასი, ექვთიმე კლავაშვილის  
და მალაქია კუმბუჩაშვილისა. ამათ ბრალ-  
დებოდათ შოთის ნავთ-საყუდლის შე-  
ნების მოიჯარადრის შალკენგაგენის  
და მისი თანა-მოგზაურთ შარშან  
მისში დაქრა და გაცარცვა. სამ-  
ხედრო დროებითმა სასამართლომ  
ქ. შოთში განიხილა მათი საქმე,  
სცნო ყველანი დამნაშავედ ავახაყურს  
თავს-დასხმაში და გადაუწყვიტა: პირ-  
ველს ოთხს სიკვდილით დასჯა ჩა-  
მორჩობით და მესუთეს—მალაქია  
ქუმბუჩაშვილს ოცი წლის კატორგა.  
ამ გარდაწყვეტილებამე გამტყუნე-  
ბულთ შეიტანეს კასაციური საჩივ-  
რი, რომლის საფუძვლად ის გარე-  
მოება მოჰყავდათ, რომ სასამართ-  
ლომ სამოქალაქო მეციებლის (შალ-  
კენგაგენის) ვეჭილად მიიღო ვილაც  
ჩინოვნიკი შიფიანი, რომელსაც არ  
ჰქონდა საამისო უფლებანი. ძასაცი-  
ურს ინსტანციაში სამხედრო პრო-  
კურორმა აღიარა, რომ მოხსენე-  
ბულს შიფიანს მართლა არ ჰქონდა  
ზოგად სასამართლო დაწესებულებებ-  
ში წარმომადგენლობის უფლება, სამ-  
ხედრო სასამართლოს მართლა არ უნ-  
და მიეღო იგი შალკენგაგენის ვეჭილა-  
და. მაგრამ, რადგანაც მისის მიღებით  
თუ ვისმეს ინტერესი იზარალებდა,  
იზარალებდა ინტერესი შალკენგაგე-  
ნისა და არა ბრალდებულთა, და  
გარდა ამისა, რადგანაც ამ მიღებას  
არავითარი ზედ მოქმედების მოხდენა  
არ შეეძლო სასამართლოს განჩინე-  
ბე,—მე ვთხოულობო, სთქვა პროკუ-  
რორმა, რომ კასაციურმა განყოფილე-  
ბამ არა-არსობით შეცდომად ჩასთ-  
ვლოს შიფიანის ვეჭილად მიღება  
ფოთის სამხედრო სასამართლოსაგან  
და დამტკიცოს მოხსენებული სასა-  
მართლოს გარდაწყვეტილება ამ საქ-  
მეში. მარდასაწყვეთ საგნების დადგე-  
ნის შემდეგ მსაჯულნი გავიდნენ ჩი-  
ვის ოთახში და ნახევარ საათის შემ-  
დეგ გამოიტანეს განაჩენი, რომლი-  
თაც დამტკიცებს შოთის სამხედრო  
სასამართლოს გარდაწყვეტილება...

— ბუშინ, შავ-ორშაბათს, რამდენ-  
ნიმე წლის აღკრძალვის შემდეგ ნება-  
რთვის მიღებისა, ქალაქის ხალხ-  
მა გამართა ჩვეულებრივი ექვსობა.  
რვა ყვენი, ზოგი კულა ვირზე და  
ზოგიც ჯავლაგ ცხენზე შემჯდარი,  
პირ-გამჭურული, ხმალზე ვაშლ-აგე-  
ბულნი და საყვერო ნიშნით თავზე  
მეუღლე ხანუშებითურთ ზურნითა  
და მრავალის ამალით დასვირნობდნ

ქალაქში, შედიოდნენ დიდ-კაცების ეზოებში და ულოცავდნენ გამარჯვებას!..

— ბლადიმირის დ. ღმრთობის გზით „მწვემის“ (№ 3) სამდვიოდ შეუტყუა, რომ პირველი კრება ქართული-იმერული (თუ გურული?) საეკლესიო გალობის აღმადგინებელ კომიტეტს ბლადიმირის ღმრთობის თემდომარეობით ჰქონებია ქალაქს ქუთაისში რცხა ათს იანგარს. იმედია, რომ კომიტეტი ისმარს ყველა ღმრთობების ამ საქმას კეთილად დაგვირგვინებისათვის, — უმატებს ბლადიმირს ამბავთ ნამდვილად შეტყუებაში დასჯელკენებულ გასეთი.

— „მწვემის“ იმავე №-ში კითხვულაბთ: „ამ უგანასკნელ დროს ძლიერ გასშირდა ჩვენში, განსაკუთრებით იმერეთში, სხვა-და-სხვა მატყუარა ბერების და მოღვაწეების საარსული სოფლებში. ამათ ჩაუტყუათ ანაფორები, უზოგნათ სადღაცა ჭრებია და საწყალ ხალხში ატროკებენ ფულებს, ვითომ სხვა-და-სხვა მოწინააღმდეგისა და ეკლესიებისთვის; ნამდვილი ვიღაცა კრებია და თათრები აწიან. რიგია, ამისთანა ხალხს ბოლოცამ ან მისცეს ნება სოფლებში სიარულისა.“

— იქვე კითხვულაბთ: „ჩვენ სამდვიოდ შევიტყუეთ, რომ მომავალ აზრობის თვეში აწიან დანიშნული იმერეთის საზოგადო საეკლესიო სამდვილეების კრება. ამ კრებამ უნდა გადაწყვიტოს, თუ რაგორ უნდა მოიქცეს სამდვილეობა, რომ თავის შეიღებოს ან დაურჩეს სემინარიაში გამოუწრდელი, რადგან სინოდს დასმარების საშუალება ან ჭკნებისა და სამდვილეობასაც იმდენი შეძლება ანა აქვს, რომ ამ თავითვე სემინარია დააწიოს თავის ხარკით.“

— ამ დღეებში ჩვენს გასეთში ნათქვამი იყო რაიმე-საიტყვას იმ პრაქტიკურ, რომელიც შედგენილია კავკასიის სასულიერო ქონებათა გამგეობაში ცვლილების მოსახლენად. ესაა ჩვენ გავრცობებენ, რომ სასულიერო ქონებათა მინისტრისაგან კავკასიაში გამოგზავნილს დეისტე სტატ. სოკ. ტინევის შეუდგენია და კიდევ წარუდგენია მოსხენებულს მინისტრისათვის პრაქტიკა თუ რა და რა თანამდებობანი და ხარჯები უნდა იქმნენ ძივასიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში. საჯჯთა შესამცობებად ადგილობრივ გამგეობათა სტატებში უნდა გაუქმდნენ შემდეგი თანამდებობანი: ა) განყოფილებათა უფროსებისა; ბ) გუბერნიის მეტყუებისა; გ) სეკრეტარებისა და მათის თანამშრომლებისა. მაგრამ ამასთანავე პრაქტიკის შემდგენელი ჭფიჭობს, რომ კავკასიის სასულიერო ქონების ადგილობრივ გამგეობათა სტატებში უნდა დაწესდნენ შემდეგი თანამდებობანი: ე) სასამართლოებში საქმეთა დაცვის ექსპერტებისა; ბ) ამ ექსპერტების თანამშრომელთა და გ) მთარგმნელებისა. იმპერიის არც ერთს სხვა მხარეში ან არსებობენ ამისთანა თანამდებ-

ობანი, მაგრამ შემადგენელს აწიით ისინი აუცილებლად საჭირონი არიან განსაკუთრებულად ადგილობრივ პირბათა გამგ. სასამართლოებში საქმეთა დაცვის ექსპერტებისათვის პრაქტიკის შემადგენელს აწიით უნდა დანიშნოს წლიურ ჯამაკრად 2,500 მან. და მათის თანამშრომელთა 2,200 მანათა. ეს რაიმე თანამდებობანი ჩაითვლება მე VI კლასში. ასაღა თანამდებობანი უნდა შემოღებულ იქმნას კავკასიის სასულიერო ქონებათა ყველა გამგეობაში გარდა ყუბანისა და სტავროპოლს-თერგისა (ჩრუსკი გურაქია).

— კავკასიის სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტს თ.დს ღონდუკოვ-ძორსაკოვს ძღვნად მიუღია საფრანგეთის აქაურ დესპანის ხელით წარსივლ მებრეშუმე დიდესაგან გამოგზავნილი 600 მისხალი ცელიულარულის აბრეშუმის ქრის თელი ძავეასიში გასაგრცვლებლად. („ნოვ. ობოზ.“)

„ღ რ ო მ ბ ა“ ოქტომბერი 1885 წ.

მ.ნ.ი, იანვრის 25-ს. წარსულს ქრისტეობისთვის მე მომიხდა მისვლა სოფ. სხეაფს, სადაც ამა სოფლის მცხოვრებთ მწუხარებით მიამბეს უზნეო და მათი სარწმუნოების შემარყვეელი საქციელი მათივე მეზობლის, ვინმე ნ. ჯ—ძისა. აი, საქმე რაში მდგომარეობს:

ამავე სოფლის მთაში ყოფილა ძველი მონასტერი იოანე ნათლისმცემლისა. ამ მონასტერს ერთს დროს დიდი სახელი და პატივისცემა ჰქონია ხალხისგან და მეფეებისგანაც. მს მონასტერი ყოფილა ცნობილი მშვენიერი მდებარეობით უღებურ ადგილას, ტყით, მინდვრით, სათევზე წყლით („ფასკანარა“ და „მასილის ტბა“) ძვირფასი ნივთებით და სამკაულით. მონასტერს ჰყოლია ყმები, ჰქონია ზვრები და სახნავი ადგილები, რომელთაგან სცხოვრებდომ მონასტრის კრებულნი. მს მონასტერი მით უფრო შესანიშნავია, რომ, როგორც მომსწრენი ამბობენ, იგი ყოფილა მხსნელი და მფარველი გაჭირვებულთა მგზავრთა, ზამთარში რაქიდგან მართლ-ძახეთში და იქიდგან უკანვე რაქას მომავლთა. მინც არ იცის რაქის ამბავი და მისი მდებარეობა, იმას არ შეუძლიან დააფასოს იმ მონასტრის წინამძღვართა და მორჩილთა შრომა და მოღვაწეობა; ამის დაფასება შეუძლიან მხოლოდ იმას, ვისაც უნახავს რაქა, მისი მდებარეობა და იცის მისი გარემოება. როგორ? მკითხავს მკითხველი. აი, როგორ: რაქა არის საზოგადოდ მთიანი ქვეყანა, ხოლო ის მთა, რომლის ძირშიაც მდებარეობს ეს მონასტერი, სხვემზედ უმაღლესია. როგორც მთა ადგილს, რასაკვირველია, აქ თოვლიც დიდი იცის და ბუქიც. ამისათვის ყოველი წინამძღვარი (თავის სინილისით) მოვალე იყო ვალდებულად გაეხადნა ყოველი თავისი მორჩილი, რომ ამ მთაზე გაჭირვებულ მოგ-

ზაურთათვის შემწეობა მიეცათ. ამ მორჩილთ ჰქონიათ გამართული თავიანთ ქალათები და შიგ შესაფერი სურსათი. როდესაც თურმე ქარ-ბუქი აატყდებოდა, ეს მორჩილი აიღებდნენ ქალათებს, დაიჭვრდნენ ხელში ნიჩბებს, ზოგნი სხვა საჭირო იარაღს და გასწევდნენ თავიანთ დანიშნულ გზაზედ გაჭირვებულ მგზავრთა საძებნელად. როდესაც ნახებდნენ თოვლში ჩაფლულ კაცს და გრძობა-მიხილს, ჯერ ადგილობრივ მოაბრუნებდნენ საქმელსასმლით, მერე წამოიყვანდნენ მონასტერში, სადაც გამართული იყო განსაკუთრებული პალატი. აქ დააწვენდნენ თბილად, მოუფლიდნენ ორ-სამ დღეს, საჭიროებისა დაგვარად და მერე წამოიყვანდნენ თავიანთ სახლში. ამ კეთილი საქმისათვის ეს მამანი არაფერ სასყიდელს არ იღებდნენ: ამას მოქმედებდნენ მხოლოდ თავიანთ სულის სამეოხოდ და არა სხვა რაიმე განზრახვით.

აი, ეს წმინდა მონასტერი, ჩვენთა მამა-პაპათა სალოცავი და მფარველი გაჭირვებულთა, ჟამთა ვითარებისაგან დღეს გაუქმებულა. როგორც მიამბეს ნამდვილ მხილველთ, ზემოხსენებულს არა-წმინდა პირს გადაუქცევია იგი დუქნად, და ტრავაში თურმე ბოთლებით ღვინო და არაყი უღვია; ხოლო თვითონ ტაძარში სდგას ცოლ-შვილით. ამავე ტაძარში აყენებს მიმავალ მომავალ მგზავრთ და არის ერთი გატყარებული ვაჭრობა და ქვიფი. და იმ ადგილზედ-კი, სადაც დასაფლავებულნი არიან მს მოღვაწე და მშრომელნი წინამძღვარი და მათნი მორჩილინი, არის გამართული თავლა პირუტყვთათვის!!

წარმოდგენა არ შევიძლიანთ, რა როდად არის აღელვებული ხალხი ამ ბარბაროსობის გამო და განსაკუთრებით იმ პირზედ, რომელსაც ეს გაუქმებული მონასტერი აბარია.

რადგან ამ გვარს მოქმედებას განსაკუთრებით ამისთანა კაცისა, რომელსაც ცოტად თუ ბევრად შეუწავლია საეკლესიო წიგნები და წესები თვით იმავე მონასტერში, — დიდი გავლენა აქვს ხალხის სარწმუნოებაზედ და ზნეობაზედ, ამისთვის ურიგო არ იქნებოდა, ვისგანაც ჯერ არს, მოხდებოდეს ფიცხელი განკარგულება და მიეცემოდეს სასჯელს ის, ვინც დამნაშავე აღმოჩნდეს, რომ მომავლისათვის მინც მდებალი ხალხი არ მიეცეს სასოწარკვეთილებას წმიდა ტაძრის წამბილწველის დაუსჯელად დატოვების გამო, არ დასუსტდეს მისი სარწმუნოება და ზნეობით არ დაეცეს. მგონი, გმირი ჩვენის წერილისა არ დარჩეს სამართლისაგან შესაფერ ყურადღების მიუქცეველი. ზემოდ აღწერილ საგნის გამო აღმინისტრაციამ უკვე დაიწყო გამოძიება.

ნ. მ — შვილი.

მ. შოთი. იანვრის 30-ს. დადგა ახალი წელიწადი და მას თან დაჰყვა თბილი ამინდიც. აქ ისე თბილა, რომ ბაღებში ხეები იშლებიან, მაგრამ

როგორც ამბობენ, ამისთანა ზამთარმა სენიანი ზაფხული იცისო. ამ მშვენიერ ამინდებს მოჰყვა ყვავილი; მართლა და ეს ავადმყოფობა ისე გაიშალა და მოედვა შოთს, როგორც ხეს ყვავილი. რადგანაც ეს სენი დიდ ბატონებდ მიჩნით და თითქმის გრძობიერ, ბატონებადაც, ამისთვის ზოგიერთა ოჯახი არაერთარ მედიკურ საშუალებას არა ხმარობს. ზოგან ძალიან გავეწყრა ყვავილი; ამბობენ რომ ბატონებს გაჯავრება ახლებს და შოთში ბატონების გაჯავრების მიზეზი ის არის, რომ შალკენგაგენის გამცარცველებს ჩამოხრჩობა გადაუწყვეტესო. ამ გადაწყვეტილებამ ყველანი ძალიან შეგვაწუხა. როცა მსაჯულებმა ოთხი ბრალდებულის ჩამოხრჩობა გამოაცხადეს, მაშინ ხანგრძლივი ტირილ-ქვითნი ასტყლა ქართველ მანდილოსნებში; უტხოვრის პირთ კი ბრავოს ძახილით და ტაშის კვიით მიიღეს ეს გადაწყვეტილება.

ამისთანა საზოგადო სენის დროს, როგორც ყვავილი არის, ჩვენდა საბედნიეროდ მოგვევლინა ერთი გამოცდილი ფელდშერი, ი. სულაქველიძე, რომელიც არ ზოგავს თავის შრომას, დღე და ღამე ავადმყოფებს თავს დასტრიალებს და მისი წყალობით ბევრი, საიქიოს გასამგზავრებელი, უკან დაბრუნდა. ამ ფერშალმა ქალაქში აუტყრელი არაერთ გაუშვა; რადგანაც თვით ქალაქში საავადმყოფო სახლი არ იყო, ამისათვის, მას ერთი სახლი აქირავებინა და იქ უვლოს იმ ყვავილით ავადმყოფებს, რომელთაც არც სახლი აქეთ და არც საშუალება. ამ პატიცემულ პირს თორმეტი წელიწადი ერთგულად უმსახურია ღვინუში, მაგრამ არაერთარი ჯილდო არ მიუღია. მხლა მაინც იმედია, რომ ქალაქი დააფასებს ამის შრომას.

ფოთელი.

წერილი რედაქტორთან  
ბატონო რედაქტორო!

„ღროების“ მე 16 №-ში „მუთისის სატუსალოს ერთი ტუსალოვანი“ იწერებოდა სხვათა შორის, რომ „მწვემის“ ტყუილად ესაყვედურება ჩვენი სატუსალოს მღვდელს მქროპირე ძაქანძიძეს, რომელიც ვითომ გულ-გრილად უყურებდეს და არ ცდილობდეს წიგნთ-საცავის დაარსებას ამ სატუსალოშიო. მამა მქროპირე მართო რა ჰქნასო, რომ საზოგადოება და აღმინისტრაცია არ უწყობენ იმას ხელს ამ საქმეშიო, ამბობდა „ტუსალოვანი“ და იქვე სწერდა ჩემიერ შეწირულს შკაფზეც, რომლის შემოწირვა ჩვენ მხოლოდ „ღროებაში“-კი წავეკითხეთ თორემ, შკაფი, აგერ ორი წელი ვადის — არ გვიანხავსო. იქნება ეს საყვედური კერძოდ ჩემდამი და ამიტომაც გესურს განვამარტო, როგორ იყო საქმე. მუთისის სატუსალოში წიგნთ-საცავის დაარსების აზრი ეკუთვნის თქვენს უმორჩილეს მონას, რაზედაც იმედი



მაქვს დამემოწმებინა „მწყემსის“ რედაქტორი და მამა მკროპირე. ამ აზრის გამოცხადებისათვის მამა მკროპირეს აღფრთქვითი შეკამათი და რამდენიმე ქართული წიგნის შეწირვა, თუკი ეს კეთილი საქმე სისრულეში მოვიდოდა. ეს მოხდა 1884 წელს. დიდ ხანს არ გამოუვლია ამის შემდეგ, ბ. პროკურორის წყალობით მე თვით შევიქენი ხანგრძლივი სტუმარი აქაური სატუსალოსი, სადაც ჩემის თვალით ვნახე და დავრწმუნდი, რომ იქაური მდგომარეობა სრულდებით ხელს არ უწყობდა ტუსალებს სულის სიმშვიდის მოპოვებისათვის. საწყლები იმდენად იყვნენ გააფრთხილები ცუდის გარემოების წყალობით, რომ უწყალოდ ხედიდნ და ფხრეწდნ წიგნებს. ძალი სულიერი საზრდოსთვის როგორ იზრუნებს იმ დროს, როცა მისი სხეული უსაზრდოდ დნება! მახსოვს, რომ ოთხი თვის განმავლობაში, მხოლოდ ხუთი დღე გამოვიყარე იმისთანა კურთხეული, როცა სტომაქში სიცარიელეს არ ვგრძნობდით. ამ მდგომარეობას ეხედვით მე მაშინ და გამოვეუცხადე კიდევ ჩემს დროებით ამხანაგებს, რომ შეკუსა და წიგნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შევსწირავ, თუ ტყუილ-უბრალოდ არ დახვეთ და უცუთესად მოუვლით-მეთქი. მხოლოდ, რაკი მუთისის „სატუსალოს ტუსალის“ წერილი საკმაო საბუთად მიმაჩნია, რომ ტუსალებ შორის დაფუძნებულია სულიერი სიმშვიდე და აღბრუნება ლტოლვილებს სულიერი საზრდოსადმი, დიდის სიამოვნებით ვასრულებ დანაპირს: ჩემ მიერ აღთქმული ნივთები. ამიზანტისა სასტუმროში შეუძლიან მიიღოს იმ პირმა, ვისაც აღფრთქვითი.

წ. ბაძმემაძეძეძე.

ანკრას 30 1885 წელს.

ქ. ქუთაისი.

### უცხოეთი

**ინგლისი.** რამდენადაც შინაგან პოლიტიკაში დიდს სიმკვირცხლეს, წინდახედულობას, ცოდნას იჩენს მუდამ ინგლისის მინისტრ-პრეზიდენტი ზლადსტონი, იმდენადვე უსუსტა გარემო პოლიტიკამ ამ გამოჩენილს სახელმწიფო კაცს. ბორდონ-ფაშა ჩაპკ-ლა (კრუ-წინასწარმეტყველმა მაჰდომ ხართუმში. მართი წელია მასუკან, რაც ინგლისის მმართველობამ მიანდო გენ. ბორდონს, როგორც ზედ-მიწვევით მკოდნეს სუდანის ვითარებისას, წასულიყო ხართუმს, და ასე თუ ისე, რა გზითაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, ბოლო მოეღო თავ-გასულის მაჰდომისათვის, რომელსაც დიდი სახელი გაეთქვა ველურ სუდანელთ შორის და დემარცხებინა ამათის შემწეობით დიდ-ძალი ჯარი ეგვიპტელებისა. მასულის წლის თებერვლის 5-ს (17-ს) ჩაიდა გენ. ბორდონი ხართუმს, როგორც დანდობილი პირი, ექვლი ინგლისისა და წარმომადგენელი ქედისა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა ხართუმში შესვლა უფრო გამოსვლა, ვინემ იქიდან გამოსვლა, თავის-დაღწევა. მამაგრებული ქალაქი გარს-მემოზლულა მაჰდომისთვის ჯარებით და გენ. ბორდონი შიგ მოემწყვდა რამოდენიმე ათასით ეგვიპტელების ჯარისა. ინგლისი არ აშველებდა მას ჯარს; იმედობდა, რომ გენ. ბორდონის ზნეობრივი ავტორიტეტი საკმაო იარაღია დააცხროს აჯანყებული სუდანელები. რამდენად უსაფუძვლო იყო ეს იმედები ინგლისის მთავრობისა— მომავალმა გამოაჩინა. ბორდონის ხელ-ქვეითი ეგვიპტისა და ზანგების ჯარები ვერ აღწოდნენ საიმედოანი და წამ-და-უწუმ გადარბოდნენ მაჰდომს ბანაკში. მაგრამ ბორდონი ერთი წლის განმავლობაში მაინც შესანიშნავის სიმამაცით იცავდა ხართუმს, იცავდა თვისსა და მცირე რაზმის სიცოცხლეს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ელატანა მისთვის. ბოლოს, როგორც იყო, ინგლისის მთავრობამ აახილა თვალები, დაინახა საჭიროდ მიაშველოს ბორდონს ჯარები და გაგზავნა გენ. შელსლეი რამდენიმე ათასი კაცით ხართუმისაკენ. მაგრამ ტყუილი იყო ესეთი მიშველება. სიბრახეს მოჭვრის კაცს ის გულ-გრილობა, დინჯობა, რომლითაც გენ. შელსლეი ეკიდებოდა თვის საქმეს. და ყველა ამ გულ-გრილობას ჯერ ინგლისის მმართველობისა და შემდეგ გენ. შელსლეისა შედეგად მოჰყვა დღეს უბედური ბედი ბორდონისა: მაჰდომ აიღო ხართუმი და მამაცს ბორდონ-ფაშას ყელი გამოსჭრა. მხოლოდ გამოფხრულა ინგლისი, ებლა-კი ყოველი ინგლისელი გაზეთი გოდებას მოჰყვა და ექვი არ არის მაჰდომის ვარსკვლავი მალე მოსწყდება; მაგრამ რაც მოხდა, იმის განაღდება-ლა შეუძლებელია და მომავალი ისტორიკოსი ტუკსვის გარდა სხვას არას არგუნებს ინგლისის მმართველობას ისეთის გენერალის, როგორც ბორდონი იყო, უბრალოდ ჩაღუპვისათვის.

**საშარანბათი.** რესპუბლიკის მმართველობა იკვლევს სხვა-და-სხვა ზომათა მუშა ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საფრანგეთში კარგა ხანია, რაც იჩინა თავი მუშა ხალხის უკიდურესმა მდგომარეობამ სიმშვილობისაგან. ამ გვარის მდგომარეობის საწინააღმდეგოდ დეპუტატთა პალატაში წარდგენილი იქნებოდა 50 დეპუტატისაგან ხელ-მოწერილი პროექტი, რომელიც საჭიროდ ხედავს 25 მილ. ჭრანის კრედიტის გახსნას. ეს ფული უნდა განაწილებულ იქნას ქალაქებისა და მათში მცხოვრებ უსამომოდ დარჩენილ მუშა ხალხის რიცხვის დაკვლიდ. მინისტრთა რჩევას განურჩევია ეს საგანი აღრე, მაგრამ უარი უყვია ესეთის სესხის გაღებაზე, გალარბებულ მუშა ხალხის მოთხოვნისებთან დასაკმაყოფილებლად.

**ზაზ. «Temps»-ი** ჰასაუბობს სამხედრო მინისტრის წინადადებას, რომელიც ამბობს, რომ მომქმედ რაზმიდამ წილის-ყრით განთავისუფლებულ იქნასო ის

ჯარის კაცი, რომელსაც სრული ვადა (სამი წელი) არ უმსახურნია ჯარში. ხსენებულის განეთის აზრით ამ გვარის წესის შემოღებით არავითარი შესამჩნევი წარმატება არ მიეცემა უმაღლეს განათლების საქმეს. სახელმწიფოსათვის დიდად უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ სამხედრო სამსახურის ვადა შემცირებულიყო იმ ახალგაზდათათვის, რომელთაც უმაღლესი სწავლა ჯერ არ დაუშთაერებიათ და ჯარში კი იქმნენ შერიცხულნი. ახალგაზდათა ინტერესები დავიწყებისათვის მიუცია სამინისტროსათ, ამ საგნის გარჩევის დროს მთავრობა რაღაც «ქანატკურის თანასწორობითა» ხელმძღვანელობს და მას კი ველარ არჩევს, რომ საქმის ამ გვარად მსვლელობა მსხვერპლად იწირავს თვით სახელმწიფოს პრაქტიკულ ინტერესებსა.

### ცვლევრაძე

(„ზრდილოეთის საკეტოსი“) ინვრის 31-ს

**პატიმარბში.** ბარქაზე გახარეს ქალაქის საკრედიტო საზოგადოების განცხადება, რომ ცეცხლის გავრცელებამდე გამოიტანეს ზემო საართულში შენახულ დოკუმენტები, საქმეები, კასები და რომ საზოგადოდ უვალა დოკუმენტები, საზოგადო და ობლიგაციური და აგრეთვე უვალა საქმეები გამგეობისა დაკუენი არიან. გამგეობის მოქმედება არ მოსპობილს.

**ბარლინი.** მოკავშირეთა რჩევა დათანხმდა, რომ რუსეთისა და გერმანიის შორისაც შეკრულ იქმნეს პირობა ბოროტ-მომქმედთა ერთი-ერთისათვის გასაცემად ისე, როგორც რუსეთისა და პრუსიის შორის არის შეკრედი ეს პირობა.

**მაირი.** გენერლის ერლის მწყობრმა დაამარცხა დიდ ძალი ჯარი სუდანელებისა და მითი გაიხსნა გზა ბერბერისაკენ; მაგრამ თვითონ ერლი მოიკლა ბრძოლაში. მტრის ზარალი დიდ-ძალია, მათი ბელებების უმეტესი ნაწილი დაიხოვა.

**პატიმარბში.** გაზეთების სიტყვით, კახანოვის კომისიის უმრავლესობას პროექტი შემოაქვს იმის შესახებ, რომ „ვოლოსტების“ მსაჯულების არჩევა სასოფლო ერთილობებს მიენდეს. თითო საზოგადოებას თითო მსაჯული უნდა ჰქავდეს. უმრავლესობის აზრით ეს დონის-ძიება შესაძლებელია განდის, რომ ვოლოსტის სამსჯავროებმა რამდენიმე სხდომა გამართონ დღეში, დაჩქარებს საქმეთა წარმოებას და შეამცირებს მოდავეთა ხარჯებს; აშველციურ ინსტანციად ენდა დაწესდეს მომრეგებელი სასამართლო და კასა-

ციურად-კი მომრეგებელი მოსამართლეთა კრება; კმავე ცემქის უმცირესობას-კი წინადადება შემოაქვს, რომ ვოლოსტის სამსჯავროთა ცვლილება ასე განისაზღვროს: ამ სამსჯავროების თავს-მჯდომარეობა მიენიჭოს ვოლოსტის სტარშინებს და აშველციურ ინსტანციად დაწესდეს კრება ურასტის უფროსებისა, რომელთა თანამდებობის დაარსებაზე პროექტი შეტანილი. — გარდასწყვიტეს, რომ ეს ორივე აზრი სახელმწიფო რჩევას წარუდგინონ.

**ოდესა.** ოთხთა ებრაელთა, რომელთაც ხელობად გაენადათ სტამბოლში ქალების გაყიდვას სამსჯავრომ გადაწყვიტა: ერთს ათი წლის კატორგა, და სხვებს ციხბირის შორს ადგილებში დასახლება.

**ბარლინი.** ტუეზე სადამოქნო ბაქის მომატების საქმე კომისიას გადაეცა. ხორბად ბაქის დაწესება. ზედ ბასი-კი ჯერაც არ შეწყვიტა. ბისმარკი კიდევ ენერგიულად იცავს ამ დონის-ძიების აუცილებლობას.

**ხანოი.** ფრანკუზები გადავიდნ მთას, რომელიც ჰუოფს ტონგის მდინარე კანტონის მდინარის ველისაგან. ფრანკუზები რამდენიმე ვერსტზე არიან ჩინეთის საზღვრიდან.

თებერვლის 2-ს.

**პატიმარბში.** „ს. პეტერბურგის უწყებები“ ამბობენ, რომ ვილნოს კაპიტულს (სასულიერო საქმეთა მმართველ კრებას) ებრძანაო ევარქიის საქმეებისთვის გამგებლის ამორჩევა. ამ გამგებელმა უნდა განავალ ევარქიის საქმეები იმ დრომდე ვიდრე ევისკოპოსი გრინევიცი გარდაუენებელი იქნება.

**მასოვა.** აქ გადამომსდარს იტალიის ჯარებს ებრძანათ, რომ მოაშორონ ქალაქის არე-მარეს მახდის ჯარის სროვები.

**შაბასი.** გუშინ სასამართლომ განაჩენი დასდვა იმ ხუთთა ბრადეებულთა საქმეზე, რომელნიც დამხმარებელ-წევრებად ითვლებოდნენ აქაურს ნება-ყოფლობით დაარსებულს ცეცხლის გამქრობს დასში და ბრალად ედებოდათ ცეცხლის წამკიდებელი ამხანაგობის დაარსება. ამ ხუთთაგან შაპოშნიკოს გადაუწყვიტეს თორმეტი წლის კატორგა, ფილატოს ციხბირის შორეულ ადგილებში გაგზავნა და დანარჩენებს ციხბირის-კე არა მეტად შორეულ ადგილებში დასახლება.

**პატიმარბში.** გაზეთები ამბობენ, რომ კახანოვის კომისიამ მაზრებში უფლების გაერთებაზე სჯის დროს გამოთქვა ის აზრი, რომ



გაუქმდენ: საგლეხო საქმეთა სამმართველონი (პრისუტსტვიე), სამხედრო სასწავლებელთ რჩევანი და კომიტეტები გამგენი საზოგადოებრივის ჯან-მრთელობისა, — და მათ მაგიერ დაწესდენ განსაკუთრებულნი კოლეგიალურნი სამმართველონი სამაზრო გამგეობისა, თავად-აზნაურთა წინამძღოლების თავს-მჯდომარეობით.

**ბარლინი.** გუშინ, როდესაც რე-ახსტაგი მეორედ ინიჭავდა განონ-პროექტს პურზე ბაჟის მომატების შესახებ, ბისმარკი კვალად იცავდა ამ განონ-პროექტს და, სხვათა შორის, სთქვა, რომ გერმანიის ვაჭრობა არ შეეცირებულა ბალტიის ზღვაზე ბაჟის დაწესების გამო; დიბავის ვაჭრობის გაძლიერება აინსნება არა ამ ბაჟების მიზნებით, არამედ იმით, რომ ვაჭრობის პირობები შეიცვალა.

თებერვლის 4-ს.

**ხანოი.** სამეტს თებერვალს (ახალი სტილით) დაიჭირეს ქალაქი ლანგონი. ჩინეთის ჯარი ფიცხელი ომის შემდეგ გაუანტულ იქნა ფრანკურებისაგან.

**მაინი.** პორტსტან მოლაპარაკება აქვს ინგლისის მმართველობას იმის შესახებ, რომ ოსმალეთის მამულმა ჯარმა მონაწილეობა მიიღოს სუდანის ექსპედიციაში. ამ მამული ჯარის უფროსი დაინიშნება სუდანის გუბერნატორად. ჰოქრობენ, რომ ამას დამაშოშინებელი გაეღენა ექნება და დამამედებს აჯანყებულ მხარეს. აესტრიის ღესანი მამულეთ ხართუმში და საბერძნეთისა კი დაუტყვევებიათ.

**კნობანი**

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი მვრამიშვილი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარემო მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსავგონებლად შემოღებულ არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამლაობით მორიგად ყოფნა ბ. ექიმთა და ბებიათა.

**ამიგები:**

**არშთინიანი,** ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**ქორონა,** სამშაბათობით და შაბათობით.

**გელიძ-ვარსადანოვი,** ოთშაბათობით და პარასკეობით.

**ბაზიგები:**

**ვილჩაქოვისა,** სამშაბათობით.

**ბაზინოვისა,** ორშაბათობით, და პარასკეობით.

**სტეფანოვისა,** ოთშაბათობით და შაბათობით.

**ლომშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

**მაზანდა**

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელ-

დახელ 1 თებერვლიდან 1 მარტამდე 1885 წ.

გამომცხვარი ზური რუსეთის ფუქვილისა — 1 გირ. 5 კ. აჭურის ფუქვილისა: შირგელის ხარისხისა — 1 ბ. 2 1/2 მეტრისა — 1 ბ. 2 კ.

იმაკე ფუქვილ. თარხეში გამომცხვარი: შირგელი ხარისხისა — 1 ბ. 4 1/2 მეტრისა — 1 ბ. 3 კ. მესამისა — 1 ბ. 2 1/2

**ჭვარის-მაძი ზური:**

შირგელი ხარის. ლაგაში 1 ბ. 4 1/2 მეტრის ხარის. ლაგაში 1 ბ. 3 1/2 მეტრისა — 1 ბ. 3 კ.

**ძრახის ხარცია:**

შირგელის ხარისხისა — 1 ბ. 8 კ. მეტრისა — 1 ბ. 7 კ. სუგია — 1 ბ. 15 კ. ცხვრის ხარცია — 1 ბ. 8 კ.

**ღორის ხარცია:**

შირგელის ხარისხისა — 1 ბ. 8 კ. მეტრისა — 1 ბ. 7 კ.

**რაინის ზუა**

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით თბილისიდან მარტო სამურხაშდინ გ საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათზედ და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. დამით.

მარტო სამურხაშდინ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდან მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დამ.)

**განცხადებანი**

რადგანაც 1886 წელს მკათათვის 1-ს თავდება ვადა, როდემდისინაც დაქირავებული იყო სახლი, მორში დაარსებულის, ამიერ-ქავკასიის სამსხტატო სამინარინსათვის, ამიტომ მოიწვევიან ის პირნი, რომელთაც სურთ მიქირავება, ანუ აშენება სახლისა მოხსენებულ სასწავლებლისათვის. შენობას უნდა ეჭიროს 534 კვადრატული საფენი და იპყრობდეს 47-ს ოთახს, რომელთა სიმაღლე 5 1/2 — 6 არშინამდე უნდა აღიოდეს. სახლთან უნდა იყვეს ორ დღიურზედ (ერთ დღესიატინაზე) არა ნაკლები ცარიელი ადგილი.

დაწერილებით ამ საქმის გარემოე-

ბათა შეტყობა შეიძლება ამიერ-ქავკასიის საოსტატო სემინარიის კანცელარიაში. (3—1)

**გამოვიდა და იხილება**

**ილისო**

მოთხრობა ჩენხელთ ცხოვრებიდან თხზულება

ა. მ. მონჩუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

იხილება თბილისში: გრიჭოვლის წიგნების მაღაზიაში და აწწრუნი'ე უფს სათესტრო კასაში ქუთაისში: შილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ფსურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსევე-მესხივეთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობელოვ-

თან; თელავში: ბატ. მ. როსტომა-შვილთან.

ბეჭდვა და ამ ბეჭდვ. საწარმოშია გა ამავე ავტორის თხზულებანი: ელგუჯა, ისტორიული მოთხრობა. არსნა, დრამა 3-ს მოქმედებად. დილა ქორწილის შემდეგ, ვოდ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანი“ შირგელის ტომის, შირგელი საწილი. (20—16)

**UN FRANÇAIS**

Professeur de langue et de littérature françaises désire donner des leçons.

S'adresser: Librairie Boerenstamm (10—6)

მსურველს შეუძლიან შეიძინოს ვაზ. „ქავკასის“ 1882, 1883 და 1884 და აგრეთვე ვაზ. „ნოვოე ობოზ.“-სა 1884 წ.წ. სრული ევგემპლიარები 20 მან. „დროების“ ექსპედიტორი-საგან, (5—2)

**ახლად გახსნილი საწუობი**

**პურიის სპირტის**

და

**დაწმენდილი არაყისა**

კანტონა ვლადიკავკასიის სვიატო-ტროიცის არაყის ქარხნისა შთამოკავლობითი პატრონო მთავარქეთა ივანე ადამის ძის შორამოვიისა და დავით ადამის ძის სა. რაჯოვიისა ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 1-დამ გაიხსნა სახარდლო საწუობი პურის სპირტისა და დაწმენდილი არაყისა ქ. თბილისში, თამამოკავის ქარვასლაში, კრევის მოედანზედ, ალექსანდრის კანტონის გვერდით.

საწუობში არის მრავალ-გვარი ზურის სპირტი: გოჭინისა, ლაგისა, ლიკოინისა და ახსლეთურნი ალკოჰოლი; აგრეთვე არაყები: დაწმენდილი, სასუფრო, დისტილატი და სამეფო არაყი საუგეთესო თვისებისა. სპირტი და დაწმენდილი არაყი ამ საწუობისა იხილება თვით დამოკავში, დ. სარაჯოვიის დიდს ახალს სახლში და ყოველ თბილისელ ცნობილ ვაჭრებთან. ჭურჭლები: კრთ-გედროიანი, 1/2 კედროიანი, 1/10, 1/16, 1/20, და 1/40 კედროიანი, ეტიკეტით და საწუობის ბეჭდით. მარკა: „Владикавказский Свято-Троицкий вино-курный заводъ изъ Тифлискаго оптоваго склада“. ამავე ადგილებში გაიყიდება სპირტი და არაყები წერილ-წერილად 3 კედრომდე 1, 1/2, და 1/4 კედროიანი ჭურჭლით საწუობის ფასზედ.

ფასება საზოგადოდ ზომიერია; შემოკვეთილს სპირტს და არაყებს საწუობი თითონ ჩააბარებს შემომკვეთელს მოცემულა ადრესით.

ქალაქს — გარეშელთ უნდა თავიანთი მოთხრობილება შემდეგის ადრესით გაგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ оптовой складъ хлѣбнаго спирта Ив. Ал. Поракова и Дав. Зах. Сараджева, на Эриванской площади, №1. (15—14)

**გამოვიდა და იხილება**

**ზღაპრული კოვია ბ. წამართლისა**

**ფიქსი-პასი**

გამოვიდა წიგნითა-ს რედაქციისა, ვენაში და პეტერბურგში ცინკოგრაფიით დამზადებულის სურათებით. ფასი ყველგან სამი აბაზი.

იხილება: თბილისში — წიგნითა-ს რედაქციაში, ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, მ. შავერდოვის სააგენტოში და ქუთაისში — ძმ. შილაძეთა წიგნის მაღაზიაში. გორში — ს. მგალობლიშვილისას. თელავში — ივ. როსტომაშვილისას. ბათუმში — მოსე ნათაძისას.

მინც პირ-და პირ წიგნითა-ს რედაქციიდან ათს ევგემპლიარს დაბარებს, წიგნი ეღირება ათი შაური. (10—5)